www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2022 წელი
II კვარტალი

02.09.2022
www.geostat.ge

02.09.2022

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2022 წლის II კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2022 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19.2 პროცენტით გაიზარდა და 41.7 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2022 წლის II კვარტალში მისი მოცულობა 16.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 25.3 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა კვარტლების მიხედვით



02.09.2022

2022 წლის II კვარტალში მთლიანი ბრუნვის 61.5 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 17.5 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 21.1 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 48.0 პროცენტი, საშუალოზე - 23.5 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 28.5 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2022 წლის II კვარტალი



საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2022 წლის II კვარტალში 23.9 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 24.2 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 15.2 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 28.8 პროცენტით მეტი) შეადგინა.

2022 წლის II კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 695.2 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 5.4 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.8 პროცენტი ქალია, ხოლო 57.2 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 42.2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.2 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 37.7 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 656.7 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.3 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 3 267.4 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23.4 პროცენტით მეტი).

2022 წლის II კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 625.8 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 236.2 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა 1 267.0 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 168.6 ლარით).

საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 718.1 ლარი
- საშუალო ბიზნესი – 1 920.6 ლარი
- მცირე ბიზნესი – 1 320.8 ლარი.

02.09.2022

2022 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 38.5 პროცენტი მოდის ვაჭრობის (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) დარგზე, მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 28.0 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 10.3 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 5.7 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.3 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 3.3 პროცენტიანი წილით, ხოლო 8.9 პროცენტი დანარჩენ დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2022 წელი II კვარტალი



02.09.2022

2022 წლის II კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (24.3 პროცენტი) და ვაჭრობა (19.3 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (15.7 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება (9.6 პროცენტი), ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 31.1 პროცენტიანი წილი უჭირავს.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2022 წელი II კვარტალი



02.09.2022

2022 წლის II კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ შესაბამისად, 27.7, 13.0 და 10.5 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის აგრეთვე მშენებლობის (8.3 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.0 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაციის (4.9 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (4.8 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც:

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2022 წლის II კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



02.09.2022

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვლილება - 2022 წლის II კვარტალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წლის II კვარტალი	2022 წლის II კვარტალი	2022 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**34 956.3**	**41 663.9**	**119.2**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	155.0	190.8	123.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	319.9	348.2	108.8
დამამუშავებელი მრეწველობა	3 555.7	4 293.3	120.7
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	969.1	1 368.2	141.2
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	94.1	102.9	109.3
მშენებლობა	1 997.3	2 383.2	119.3
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	12 847.0	16 044.2	124.9
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 657.9	2 213.6	133.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	342.9	537.6	156.8
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	142.6	219.5	154.0
საკვებით და სასმელებით მომსახურება	200.3	318.1	158.8
ინფორმაცია და კომუნიკაცია	575.8	889.7	154.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	327.3	394.2	120.4
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	369.2	387.9	105.1
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	195.7	304.4	155.6
განათლება	127.7	138.4	108.3
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	340.9	349.1	102.4
ხელოვნება გართობა და დასვენება	11 049.3	11 672.4	105.6
სხვა სახის მომსახურება	31.6	45.9	145.1

02.09.2022

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობას 2022 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2021 წლის II კვარტალი	2022 წლის II კვარტალი	2022 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**13 152.1**	**16 479.8**	**125.3**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	145.4	167.5	115.2
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	315.6	346.1	109.7
დამამუშავებელი მრეწველობა	3 307.4	4 000.1	120.9
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	533.1	789.2	148.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	105.0	111.9	106.5
მშენებლობა	2 129.9	2 585.7	121.4
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2 524.9	3 180.5	126.0
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 182.5	1 580.3	133.6
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	346.2	540.5	156.1
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	146.1	222.4	152.2
საკვებით და სასმელებით მომსახურება	200.1	318.1	159.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	536.9	850.3	158.4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	323.9	380.9	117.6
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	318.2	338.4	106.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	141.6	196.3	138.7
განათლება	134.8	145.9	108.3
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	595.6	568.8	95.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	480.7	653.3	135.9
სხვა სახის მომსახურება	30.3	44.0	145.3

02.09.2022

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება 2022 წლის II კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2021 წლის II კვარტალი	2022 წლის II კვარტალი	2022 წლის II კვარტლის ზრდის ტემპი 2021 წლის II კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**659 718**	**695 229**	**105.4**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	11 455	11 555	100.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	11 006	11 938	108.5
დამამუშავებელი მრეწველობა	86 412	90 545	104.8
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 894	15 104	95.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 648	14 749	100.7
მშენებლობა	58 286	57 657	98.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	180 579	192 804	106.8
ტრანსპორტი და დასაწყობება	52 768	55 792	105.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	30 348	33 672	111.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	12 227	13 272	108.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	18 121	20 401	112.6
ინფორმაცია და კომუნიკაცია	26 662	34 114	127.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	17 818	18 366	103.1
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	21 607	22 102	102.3
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	19 497	19 576	100.4
განათლება	24 149	24 289	100.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	72 566	73 011	100.6
ხელოვნება გართობა და დასვენება	9 564	13 029	136.2
სხვა სახის მომსახურება	6 459	6 925	107.2

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 76.3 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 6.1 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 4.8 პროცენტი
- იმერეთი – 4.6 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.3 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 62.3 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.9 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 8.6 პროცენტი
- იმერეთი – 7.2 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.3 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგ¬ნაი¬რად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 64.6 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.6 პროცენტი
- იმერეთი – 6.9 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 6.1 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.7 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K, O, T, U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა.შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
IV	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200) E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge